

# ღვინის ეკო დასახლება

**მარიამ იორდანიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე  
არქიტექტურისა და მდგრადი განვითარების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური  
ხერისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ იორდანიშვილი

2021.

## აბსტრაქტი

საქართველოში მეღვინეობას საუკუნეების მანძილზე განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა. იგი ახლაც არ კარგავს აქტუალურობას და სულ უფრო მეტი ქვეყანა ინტერესდება ქართული ტრადიციული მეღვინეობით. ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ არ ჩამორჩეს მსოფლიოში მიღებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მიდგომებს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წამოადგენდა სწორი მოცემულობის შედგენა პროექტისათვის, საუკეთესო ტერიტორიის შერჩევა და არსებული მიდგომარეობის შეფასება. მეღვინეობის სფეროში მსოფლიო გამოცდილების და თანამედროვე მოთხოვნილებების გაცნობა, კონცეფციაში მისი გათვალისწინება.

ნაშრომის მეთოდოლოგიის ნაწილი გულისხმობდა პროექტისათვის შერჩეული ტერიტორიის შესწავლას, როგორც დისტანციურად, ასევე ადგილზე მისვლით. საკვლევ საკითხის მიმართ პროფესიონალთა აზრის დასადგენად ჩატარდა ინტერვიუები.

კვლევის ფარგლებში დასახელდა ტერიტორიის უპირატესობები და პერსპექტივა მეღვინეობის განვითარების მხრივ. პროფესიონალთა გამოკითხვის საფუძველზე მოხდა კონცეფციაში შემავალი საკითხების შეფასება და გაანალიზება. მათ მიერ დასახელებული იქნა პრობლემები, რომლებიც ხშირად არსებობს „ოჯახურ მეღვინეობაში“. სწორედ ის საჭიროებს მეტ ყურადღებას და განვითარებას. დადგინდა ღვინის ტურიზმის აქტუალურობა თანამედროვე მეღვინეობაში. კვლევის საფუძველზე მოხდა ღვინის ეკო დასახლების კონცეფციის შედგენა, ყვარლის მინიციპალიტეტში შემავალი, სოფელი შილდის სიახლოვეს არსებული ტერიტორიის განვითარების მიზნით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კახეთი, შილდა, დასახლება, მეღვინეობა, ეკო მეღვინეობა.